

K 22433  
T

ნ. მაღაზონია

საქართველო  
თბილისი



# პატავი ესთიმეზ



821.353 1-1

საქართველოს  
საბჭოთაო

ნების მალაზონა

821

~~899 962-1~~


~~2-17~~

22133

# კავაკი ოჯახობას

~~78835უ. K~~

~~K 13349 A~~



აჭარის სახელმწიფო ბაზმის ცენტრი


ბათუმი

1937

№

1957

10-01



## სტალინის მზე

არსიანში ნისლი წვება  
აბრეშუმის საბანივით,  
გალურსულა კლდეთა წყება,  
ჩანჩქერებით გაბანილი.

ძაძამოსილ ნაძვებს სძინავთ —  
საფარ-ფაშის დროის ქალებს,  
ნამს, ბალახზე დაღვრილს მძივად  
ქარის შიშით აკანკალებს.

მთვარე მკლე და უფერული  
ჩამოსაჯდომს ეძებს მთებზე,  
ყანჩა ხევში შეპარულა  
და ქოროხში ზვერავს თევზებს.



სდუმან მთები მხრებაჩეჩით,  
 მთა მტირალა მძიმედ ხვნეშის:  
 ულრან ტყეებს რისთვის სჩეხენ,  
 რა მანქანებს დგამენ ხევში!

რად გათხარეს შარა ფართო,  
 მთას რომ შოლტავს თავშალიანს,  
 ან რად მღერის სვეტზე მარტო —  
 ეს ლითონის მაფშალია!...

როგორ მოხდა — სადაც ძველად  
 ბატონობა ჰქონდათ ქორებს,  
 იმ მთებს ახლა გადაწელავს  
 ფადიკო და გადიქროლებს!

ვინ გამართა ასეთ მთებში  
 არნახული გზა და ხიდი,  
 ვინ დახატა გაზეთებში  
 აიშე და ფუნდუკიდი!

სძინავს სოფელს... და ამ ძილით  
 ისე ფრთხილად ჩაწოლილა —  
 არ მოუხსწროს სხივმა დილით,  
 მზეს რომ დასვამს მთაზე დილა.

როცა შაშვის დაძახილი  
ღამეს ხევში დააკვნესებს,  
სოფლის ფარა და ნახირი  
საშოვარზე მიჰყავთ მწყემსებს.

გაიშლება კისკისობით  
სტახანოველ ქალთა კრება,  
და ახალი სიმღერებით  
მივლენ ჩაის მოსაკრეფად.

ლაზისტანში ისევ სძინავთ,  
არსიანში ბნელა ისევ,  
აჭარაში კი მზე ბრწყინავს  
და სიცოცხლეს ახალისებს.

მზის სიცილი ათბობს მიწას,  
საუკუნით ღამენათევს.  
ეს ქვეყანა ბალად იქცა,  
რაც ოქტომბრის მზე ანათებს.

ვიციტ ეს მზე თუ ვინ დასვა  
ამ ეპოქის სასახელოდ, —  
აჭარელი წყალსაც არ სვამს,  
რომ სტალინი არ ახსენოს.

## პატაკი ოქტომბერს

ათეული წლებია,  
რაც დავლევით ხუნდები,  
და წინ კიდევ ბევრია —  
ბრძოლისა და შენების.  
სახალისო ბრძოლაში  
მკლავი არ მოდუნდება  
და მტერს დავძლევთ,  
რადგანაც ვაჟკაცურად შევებით!

ბევრი ოფლი დაკლვარეთ,  
ოფლი სისხლით ნარევი,  
ბევრი ვნახეთ ბრძოლა და  
გეგმის გადამეტება.  
წინ გვიძღვიან ნაწრთობი  
მუშა-კომუნარები —  
მათ იციან შრომის და  
ბრძოლის ფრონტზე შეტევა!

მახუნცეთში დავჭერით  
ცელქი აჭარისწყალი,  
რომ ელექტრო დავუნთოთ  
თვალახელილ მთას და ხევს  
ქვებში მიჰქრის კოროხი  
წერაქვებით დამფრთხალი,  
ქარხნის ფიქრი დააწვა  
თხემ შევერცხლილ ორწოხებს!

სოფელს აღარ აწუხებს  
ლამის შავი ზმანება.  
იმ ხრამებში, სად უწინ  
მხოლოდ მგელი ღმუოდა,  
დამკვრელები შეიჭრენ  
დაუძლეველ ძალებად,  
და გზას ავტო ამოკლებს  
ბათუმამდე ხულოდან!



ვინ უფროა გმირი და  
ვინ უფრო იმუშავენს!  
აღტკინება დიდია,  
შრომის გმირი ბევრია.  
გაჰქრა ტლუ და ფუხარა  
უილაჯო, ბეჩავი...  
ხიხაძირში, ხინოში  
ქალი საბჭოს წევრია!

კოლექტივებს ვაშენებთ.  
სკოლა, კლუბი გახშირდა.  
გლეხი გახეთს კითხულობს,  
ყველგან გზა და ხიდია.  
უმავთულოდ ჭახათი  
მოსკოვს დაუკავშირდა,  
მთებში ქვეყნის ამბები  
რადიოთი მიდიან!...

1931 წ.

## მაისის ალლუმი

გაშალეთ დროშები ბრძოლაში ნაწრთობი,  
 გაშალეთ დროშები წითელი ფერის.  
 მაისის პირველი—მუშათა მნათობი—  
 და მთელი ბუნება შრომის ჰანგს მღერის!

აღლუმი ქალაქში! სოფელში აღლუმი!  
 უტიეთ, გზა ფართო არწივთა რაზმებს!  
 ყოველგან აფეთქონ მუშებმა ლაღუმი  
 და მოგვყვენ მხარიმხარ კომუნით და-ძმებს!

ქუჩებში სიმღერით!  
 ქუჩებში ღიმლით!  
 ქუჩებში დროშა და სიტყვები ცხარი!  
 ქარხანა თვით იტყვის ლითონის კივილით,  
 თუ როდის და როგორ იყო და არის!

გაშალეთ დროშები ბრძოლაში ნაწრთობი,  
 ამართეთ დროშები წითელი ფერის!  
 მაისის პირველი—მუშათა მნათობი—  
 და მთელი ბუნება შრომის ჰიმნს მღერის!

## ნასაკირალი

მახსოვს:  
დეკემბრის ღამე იყო,  
მიწა ოხვრიდა,  
გარინდულ ხეებს  
დაეყარა მჭკნარი ფოთოლი.  
წყევლა და კვნესა  
მოისმოდა ყოველ ქოხიდან,  
ცა ცრემლებს ღვრიდა—  
გლახაკივით,  
ჩამოფლეთილი!



იჭეჭა უცებ...  
და დაინთო  
ცეცხლი უნთები,  
მოედო ბნელეთს  
შესამუსრად  
დილის გრიგალი...  
ბრძოლის ძახილით  
აიმართა  
მძლავრი კუნთები,  
აღმოდებული აიმართა  
ნასაკირალი!

მშრომელთა რაზმი  
ამ ბრძოლაში  
სწრაფად შეცურდა,  
რაზმის ყიჟინი  
ძველ ქვეყანას  
შიშის ზარს ჰგვრიდა.  
მებრძოლთა ჟინი  
ბახვისწყალთან  
ჩადგა უჩუმრად  
და დასარბევად  
მტერს ეკვეთა  
ყოველი მხრიდან...



დაეშვა დროშა...  
და ბნელეთმა გადიხარხარა,  
იგი რომ ნახა  
რაზმელივით  
დაჭრილი გულთან.  
მაგრამ ის დროშა  
ამ ქვეყანამ  
გულით ატარა,  
როგორც სიმბოლო  
გამარჯვების  
ყველა ჩაგრულთა!...

1930 წ.

## ესპანელ გმირებს

გრენადის მთებში ჩამოწვა ნისლი,  
გვადალკვივირი ნაპირებს ლოკავს,  
სისხლიან მტერთა მუქარა ისმის,  
რესპუბლიკას რომ უპირებს მოკვლას.

და მიწამ შესვა პოეტის სისხლი—  
შეუდრეკელი გარსია ლორკას!

ბრძოლის ძახილზე სწრაფად მორბიან,  
რომ წამლად ერგონ სამშობლოს ტკივილს.

ქალიც ვაჟკაცის ცალი ორბია—  
სიკვდილის თვალწინ უშიშრად ივლის.  
ლაჩრის ცოლობას მართლა სჯობია,  
მოკლული გმირის რომ იყო ქვრივი!

თქვენი ტკივილი წამსვე გავიგეთ,  
რადგან ჩვენს გულებს ერთი აქვს ძარღვი.  
თვალწინ დაუდგა ქარხნებს, ტაიგებს—  
ხმაღს როგორ იქნევს მადრიდში ბალღიც...  
სისხლს სამშობლოსთვის ვინ არ გაიღებს,  
რესპუბლიკისთვის სისხლს ვინ არ დაღვრის!

და თქვენც იბრძოლეთ! მამების ანდერძს,  
იმათი სისხლით მოზელებილ მიწას,  
დედებს, რომელთაც ქვები არ აძევთ  
და მგლებისაგან მიწა არ იცავს,—

ნუ დაანებებთ ფაშისტურ ძაღლებს,  
ფაშიზმის ხელი მათ ნუ წაბილწავს!

## ღამე კლანთაციებში

მზე მოიტაცეს მეკობრეებმა.  
 აოქროსფერდენ ზღვაზე ტალღები.  
 მანდარინების დღიური გეგმა  
 უკვე შესრულდა გადაჭარბებით.  
 როდესაც ბინდმა ფეხი მოიდგა,  
 გვიანი კრეფა შესწყვიტეს მაშინ.  
 ცვარი ესხურა მწვანე კონინდარს  
 და ვარსკვლავები დაიბნენ მთაში.  
 ბარში ჩამოდგა სხვა სილამაზე,  
 ქარვით აივსო ბაღების კალთა,  
 მთვარე შემოჯდა მთა მტირალაზე—  
 თოვლს რომ დარაჯობს აჭარისწყალთან  
 მთვარე მოხიბლა ბაღმა და ოდამ,  
 ფერდობს რომ აკრავს ფართო ხალივით.  
 მოწყდა კენწეროს და ჩამოგორდა  
 გადამწიფებულ ფორთოხალივით...



№ \_\_\_\_\_



~~7-19349~~

### სერგოზ

1 22133

რატომ არ დაწყდა მავთული  
ანდა რადიო - ტალღები —  
არ მოეტანა ამბავი  
მძიმე და გულის წამლები!

პერანგას სუნთქვა შეეკრა,  
ჭოროხი ოხვრა-ზარშია,  
აღარ ეტევა ცრემლები  
ხევეების ვიწრო ღარშია!





გულში ჩამოდგა ტკივილი,  
 ნაღველი ჩაწვა თვალშია,  
 კაცი დავკარგეთ, რა კაცი,  
 ნაწრთობი ბრძოლის აღშია!

ნუთუ მოკვდა და აღარ გვყავს  
 კაცი არწივის ბადალი,  
 კაცი ბრძოლების მოთავე,  
 გამარჯვებათა სარდალი,

მუშათა კლასის მედროშე,  
 დიდი ბელადის ნათალი,  
 ათეულწლოებით რომ ზიდა  
 მშრომელთა რწმენა მართალი!

არა! ნუ იტყფით, არ მჯერა!  
 დროშას მოხსენით არშია!  
 ტყუილი უთქვამთ მოკვდაო,  
 ხმალი გატყდაო ტარშია!

ვერ ხედავთ — იგი ცას იპყრობს,  
 თვითმფრინავზეა ცაშია!  
 მოტორებს გმირულ ამღერებს,  
 გვამხნევენს თავდაცვაშია!

ვერ ხედავთ — სჭედავს ტრაქტორებს —  
არ შეწუხდეთო ხენაშია,  
ჩკალოვთან ერთად პოლუსზე  
მიდის პოლარულ ზღვაშია!

მისი სახელი გაისმის  
ყველგან — მთაში და ბარშია.  
ვინ ნახა გმირის სიკვდილი —  
იგი მებრძოლთა ჯარშია!...

1937 წ.  
თებერვალი.

## შვიდების ბანაკში

უსაზღვრო სივრცე.  
ყინულეთი.  
ქართა ნავარდი.  
თოვლი.  
სიცივე.  
ქარაშოტი გულშემზარავი.  
ყინულის მთებში  
ჩასალტული კენტი ხომალდი.  
ყომრალი ნისლი.  
და ყინულზე კენტი კარავი...

ყამირმა სივრცემ  
დააშორა საბჭოთა მიწა,  
შორეულ ნაპირს  
ველარ წვდება ყინული - ტალღა.  
არქტიკის გმირებს  
სტიქიონის სუსხისგან იცავს  
წითელი დროშა —  
ამართული კარავზე მალღა.

პირისპირ დადგა  
სტიქიონი ფაფარ - აყრილი.  
გმირთა გაჟღეჭა  
განუზრახავს ავდარს ნისლიანს.  
ჩელუსკინელთა  
ბრძოლის დროშა ძირს არ დახრილა,  
რადგან იმათში  
ბოლშევიკის ცხელი სისხლია.

იმათ იციან:  
ოკეანე რაზომ ფართოა,  
რაზომ მძლავრია  
პოლარული ზათქი და ქარი,  
მაგრამ სტალინი  
და ფოლადის მისი პარტია  
ყველა ძალაზე  
უფრო არის მძლე და მაგარი...



სტალინმა სთქვა და  
 შეუერთდა თქმას საბჭოეთი,  
 ფეხზე დადგა და  
 გადაიქცა მფრინავ რაშებად.  
 პოლუსს ეკვეთა  
 ინჟინერი, მუშა, პოეტი...  
 ასე ძნელია  
 ჩვენთან — ცეცხლთან გათამაშება!

არავინ დარჩა  
 იმ ყინულზე დღეს დროშის გარდა,  
 გმირები ყველა  
 დაუბრუნდნენ წითელ ნაპირებს.  
 მალე ხელახლა  
 შევებმებით ყინულს და ავდარს...  
 შმიდტი მორჩა და  
 არქტიკაში ისევ აპირებს!...

ძველო ქვეყანავ!  
 შემზარავი შენი სიცივე  
 უკვე დაშანთეს  
 წითელ გმირთა თვითმფრინავებმა,  
 და შენი ტახტი  
 ყინულივით მალე დაცვივა,  
 დამპალ ბოძზე რომ  
 სასიკვდილოდ ექანავება!

მალე დავიპყრობთ  
ყველა კუნძულს პოლარულ ზღვაში  
და დავამყარებთ  
მსოფლიოში  
ჩვენს საუკუნეს.  
შმიდტის ბანაკში  
წითელ დროშას მეორედ გავშლით  
და ცივ პოლუსზე  
ელსადგურებს ავაგუგუნებთ!...

1934 წ.

## ა. ს. პუშკინს

ჩაგრულთა გლოვა იყო საერთო,  
 აღარც ქვეები და ხეები სდუმდენ,  
 და ხითხითებდა მიეთ - მოეთი  
 გადაგვარებულ სასახლის წუმპე —

მოჰკლეს პოეტი, დიდი პოეტი,  
 ხალხის ტკივილთა მესაიდუმლე!...

მშრომელთა გულში იმას ვინ წაშლის!  
 ვინ მოჰკლა იგი დალატით, ლაჩრად!  
 პასუხი აგოს ხალხის წინაშე —  
 პუშკინი არა, რუსეთი დასჭრა!

რამდენი ლექსი ჩაწვა მიწაში!  
 რამდენი ლექსი უთქმელი დარჩა!

მაგრამ ხალხისთვის ბრძოლას ვინც იხდის,  
იგი იმარჯვებს ადრე თუ გვიან,  
საშვილიშვილოდ რჩება ფინდიხი —  
სისხლში მოსვრილი ნაჭერი ტყვია...

და ასეთ სიკვდილს, სიკვდილს ხალხისთვის  
იგივე მუღმივი სიცოცხლე ჰქვია!...

იმ დუხჭირ დროში არაერთს სდევდა  
ხვედრი\* მუხთალი და ბედი მწარე...  
და რომ გეზიდა უძლევი სევდა,  
და რომ ჩვენამდე გეზიდა ბარემ...

ცხრათვალა არის საბჭოთა მზე და  
ცხრათვალა არის საბჭოთა მთვარე!

ყოველ მზის მოსვლას სიცილი ახლავს,  
სასიხარულო დღეები მოსდევს,  
საამურია ცხოვრება ახლა —  
პოეტის გულზე რა უნდა ლოდებს!

შენც ჩვენთან ერთად ილხენდი ლალად,  
ახალ ქვეყანას ეტყოდი ოდებს!...



## აჭარელ ქალს

მუთებერი სცენაზე გადაშლილი ხელებით,  
მოსხლეტილი შველივით იდგა, სიტყვას  
ამბობდა.

დაძაბული დარბაზი, გრძნობა განახელები,  
შესცქეროდა აჭარელ ქალს, რომ ლაპარაკობდა!

როცა მან სთქვა:

აღვდექით და სინათლე ვიხილეთ,  
ეს ქვეყანა დღეიდან აღარ დაძაბუნდება!  
აჭარელო ქალებო, ზეიმია, ილხინეთ,  
მოკვდა ძველი ბნელი დრო და აღარ დაბ-  
რუნდება! —

შენი ტანი ათრთოლდა უჩვეულო ხალისით...  
და ვით მთვარე ფერმკრთალი ქარიშხლიან  
ავდრიდან,

შუბლზე ხელი გადისვი  
და გამოდი ჩადრიდან!...

მართლაც:

გრძელი იყო გზა და სიძნელე - მრავალი,  
მაგრამ მაინც გმირულად განვლე, ჩემო დაო, და  
დღეს არა აქვს ჩვენს მხარეს ეკლიანი სავალი,  
ჩვენი მხარე ჯერ ასე არასოდეს ჰყვავოდა!

## ერთი ღამე სულოზი

აზვირთებულ მთებზე ნისლია მუქი,  
აჭარისწყალი დანისლა მძიმედ.  
ყარადერედან სარკმელთა შუქი  
თურქეთის მიჯნას გადაციმციმებს.

დამცურებელთა მწყობრი ბგერები  
ხევში ჩაუდგა თაგოს და ალმეს.  
ხეებს მოსწყინდათ კლდის დაძგერება  
და ისვენებენ უძრავად ღამეს.



ხულომ შესწყვიტა შრომის ხმაური,  
 თუმცა შენება ისმის ძილშიაც.  
 გადატვირთული სწუხს ელსადგური —  
 აწჳესის შველის მოლოდინშია!

კლუბში მორიგი პარტუჯრედია,  
 კამათში ღამე შემოკლდა ბევრად.  
 ყველა საკითხი მწყობრად ჩატარდა,  
 და ისკანდერი მიიღეს წევრად.

კრება გათავდა:  
 და მთების კეფას  
 მოკამათენი ხელად დალამბვენ,  
 შეწყდა ძაღლების გვიანი ყეფაც,  
 შეწყდა ხმაური ახლა დილამდე.

ღრუბლის კალთებში დაიმსხვრა ხომლი,  
 მთებმა მთვარეში ბარი დაზვერეს.  
 სძინავს მიდამოს.  
 არ სძინავთ მხოლოდ  
 საგუშაგოზე ფხიზელ რაზმელებს!

1932 წ.



## ილიას სამუოგლო

მზე დავაუკაცდა მთებზე გადავლით  
და ცის სილურჯის საზღვარი არ აქვს.  
ბარში ჩამოაქვს როგორც ნადავლი  
სიო მთებიდან მოწყვეტილ არავს.

ახლა აღარ სწუხს იგი მოხევე,  
სამუოგლოს ბედს რომ ჩიოდა მაშინ,  
აღარც შხამი და სევდა ინთხევა  
კუდიგორასთან ურმულის ხმაში.

და ყოველ დილით, მზის ამოსვლამდი,  
როცა ჯერ სძინავს ალაზნის დაბლობს, —  
ყვარელის მთიდან ილიას ლანდი  
თითქოს წარსულის პასუხად ამბობს:

— როგორ შორიდან მოსჩანდა  
შენი მზიანი ბედიო,  
ჩემი ჭრილობაც მორჩა და  
მიწიდან ამოვედიო!

აყვავებულა მდელი და  
აყვავებულა მთებო.  
თურმე რა ბედი გელოდა —  
კვლავ უფრო აყვავდებო!

წინ გიძღვის კაცი — ფოლადი,  
ქვეყნის გული და მკერდიო,  
ყველა ჩაგრულის ქომაგი,  
მშრომელთა ხსნა და ბედიო!

აღმდგარა საქართველო და  
არწივს დაუსხამს ფრთებო!  
აყვავებულა მდელი და  
აყვავებულა მთებო!

## კოლხიდოზენი

სამხრეთის ზეცა იწვის თანდათან,  
დაღლილი ტალღა ისვენებს გვერდზე,  
და როგორც ფოთი, ისე მალთაყვა  
შუბლის სიგრილეს ყაზბეგზე ეძებს.

არგონავთული ფიქრი კვალდაკვალ  
დასდევს კოლხიდის ოქროვან ვერძებს.

საარაკოა! საით წავიდა —  
 ყვითელი ტბები რომ იდგა შარშან!  
 ამას ნატრობდენ დასაბამიდან,  
 მაგრამ ჩვენამდე ოცნებად დარჩა!

მებადურს ზღვაზე გაჰყავს ბაიდა,  
 კაპარჭინაში წყალი რომ დაშრა!

გულში დაჭრილა ლეგა ჭაობი,  
 ლაქაშებიდან კოლოებს არ შლის,  
 მოკვდა ციება მრავალ თაობის —  
 საუკუნეთა შმორი და ხაშმი.

მოკვდა ანდაზა — აღარ ჩამორბის  
 ცელქი რიონი ნარიონალში!

პალიასტომი ისე წყნარია,  
 მგონი თავის თავს ვერ აპატიებს.  
 ნიკოს, ივანეს ფიქრებ - მწარიანს  
 ველარ პოულობს, ველარ ატირებს.

კვალიც წაშლილა — სად უარია  
 ეგნატეს გმირთა დაღუპულ ტივებს...

სადაც ასწლობით ისმოდა კენესა  
ლაქაშოვან და ჩალურ ქოხიდან,  
სატანჯიოში გასაყიდ ტყვესთან  
სადადიანო ცრემლით ოხვრიდა, —

კოლხიდამ ყოფნის შარბათი შესვა,  
ბაღებში ცურავს ახლა კოლხიდა!...

მარტო კოლხიდა?!

მთელი ეს მხარე,  
კიდით პოლუსებს რომ მიბჯენია,  
სადაც სიცოცხლე ისე გვახარებს,  
რომ სიხარულით ცად გვიფრენია,

სადაც ანთია დაუშრეტ ცეცხლად  
დიდი სტალინის დიდი გენია, —  
ერთი მთლიანი სიცოცხლეა და  
ერთი მთლიანი კოლხიდმშენია!...



## ხ მ რ უ მ ი

კიბონის ხმა მოხვდა კუნთებს,  
გადაეჭდო მკლავი მკლავებს,  
მწყობრი ჰანგი სურვილს უნთებს  
მსმენელსა და მოცეკვავეს.

მთის არწივი უვლის წრეს და  
შეუძახებს მხედრულ ხმაზე.  
დასტა ელვის უსწრაფესად  
ათამაშებს ჯადო - ხაზებს.

ხან დაიწევს ჭიბონის ხმა,  
და შესდგება მწკრივი მაშინ,  
თითქოს რისხვა შემოესმა  
ათაბაგის წყეულ ხმაში!

და მოისმის გულ - საღარი  
ქშენა, კვნესა გაუძლები,  
და კუნთებში თმა - ჭაღარა  
ქანაობენ ბეჭას წლები.

მაგრამ როცა ქოჩახელა<sup>1)</sup>  
დაუბერავს მძლავრად უცებ  
და გადაშლის მოსალხენად  
ისტორიის ახალ ფურცლებს, —

აბაშიძე<sup>2)</sup> მაშინ დასცხებს,  
აბურთავეებს მაჯისცემა,  
თვალს იპყრობს და ტანს იტაცებს  
კოლექტიურ შრომის სცენა

ძველ ვარამს და ახალ ხალისს  
ღვრის დარბაზში მწყობრი დასტა,  
დარბაზს გული უფართხალებს,  
თითქოს ყველა ცეკვავს მასთან!...

1) ქოჩახელა — მეჭიბონე ედგემ სურმანიძე.

2) ასლან აბაშიძე — ხორუმის ოსტატი.

## ბებერი თხემლა

მე დღეს ვნახე იგი: სდგას მარტოკა ველად,  
სადაც გაუვალი ტყე ყოფილა ძველად.  
მარტოდ დარჩენილა, უთვისტომოდ, ობლად,  
თითქოს მუხეუმში—სიძველეთა მთხრობლად.

ცოცხახლ - მკვდარი დგას და სევდით  
გადაჰყურებს,  
როგორ ამაგრებენ მასზე ელნათურებს,  
და იმის ჭლექიანს, უსიცოცხლო ტოტებს  
უცნაური ამბით ქარი შეაშფოთებს:

— ბუს ნაღვლიან ტონზე  
 შეწყდა ფიქრის მტვრევა,  
 ღამემ ელექტრონზე  
 სული განუტევა.

ტრაქტორის ხმა მოხვდა  
 გულში ნადურს სოფლის,  
 და ღროება მოკვდა  
 უნაყოფო ოფლის.

აქვითინდა ცივად  
 უსიცოცხლო თხემლა,  
 ფიქრი ჩამოსცივდა  
 მოგონების ცრემლად.

სული განუტევა  
 ღამემ ელექტრონზე,  
 შეწყდა ფიქრის მტვრევა  
 ბუს ნაღვლიან ტონზე...

თხემლას არ სურს ასე და ქარს არ უჯერებს,  
 მაგრამ მისი ნდომა დროს ვერ შეაჩერებს!  
 და თხემლასთან ჩავლით, სწრაფი გაქანებით  
 მშრომელების რაზმი მიჰქრის მანქანებით!...

# გ უ ლ ი ზ ა რ

პ რ ე მ ა

ჩემს პატარა თინიკოს.

## გ უ ლ ი ზ ა რ .

ჩვენს მომავალ თაობას —  
თინას ხნის თუ მეტის —  
ძველი ყოფის რაობას  
მხოლოდ წიგნი ეტყვის.

### 1.

სადაც მწვანე ხავერდით  
სავსე არის ხევი,  
ფეხაკრეფით ჩამორბის  
სოფლის შესახვევი.

ხევთან მთაა. მთას გაღმა  
კიდევ არის მთა, და  
მთის კალთაზე გულაღმა  
სოფელია ცამდე.

ოციოდე კომლი დვას  
ამ სოფელში მარტო.  
ჯამე დასცქერს მალლიდან,  
ქვევით — ჭალა ფართო,

ჭალას იქით — მალლობი  
შორს ქოხების ბრბოდან,  
და ზედ ჭრელად ნაღები  
იზეთ - ბეგის ოდა.

სასახლიან მალლობთან,  
სადაც ბეგი იდგა,  
ცელქი ღელე ანგლობდა  
გადმოჭრილი მთიდან,

და ამ ღელის ნაპირზე  
იმ ცოტახნის წინათ  
ობოლ ყადირ ტაკიძეს  
გაეჩინა ბინა.

იმ ადგილზე წყლის პირად,  
თვითონ ბეგის გარდა,  
ბეგის შიშით უჭირდა  
ყველას ფეხის დადგმა.

ბნელი გზებით შენაძენს  
უღვა ისე ფხიზლად,  
რომ მახლობელ შარაზეც  
ძლივს ბედავდნენ მისვლას.

სინდისს როგორ შესცოდა  
და ვინ მოჰკლა ტყესთან,  
მხოლოდ ორმა იცოდა —  
თვით ბეგმა და მწყემსმა.

და ბეგს რომ დაეფარა  
ბოროტების კვალი —  
ვის წაართვა, მოჰპარა,  
ვის დაუვსო თვალი, —

რითმე უნდა ეყიდა  
მწყემსი ამის მცოდნე,  
თორემ მტრები ქვეყნიდან  
აუკრავდნენ ცოდვებს...

ამიტომა(კ უშვილომ  
მოისურვა ახლა —  
თითქოს ყადირს უშველა  
და იქ დაასახლა.



როცა ბეგმა თავის მწყემსს  
გადაუჭრა მიწა,  
მითქმა - მოთქმა დაიწყეს,  
ეს საამბოდ იქცა.

ზოგი შურით ივსება,  
ზოგს ახარებს ის, რომ  
თითქოს ბეგმა ღირსება  
დააფასა, იცნო.

— სადაური წესია —  
მწყემსი გახდეს აღად?  
— რაი მერე — მწყემსია,  
მანც იცოცხლოს რაღა!

— ალბად ერთად იშოვნეს,  
მიტომ უნაწილებს!  
— თუ არა და ერთბაშად  
დაუტოვებს შვილებს!...

და სოფელი პატივს სცემს  
(უფრო ხოჯა ასლან!)  
თვითონ ყადირ ტაკიძეს  
და მთელ ოჯახს მასთან!

\*  
\* \*

ერთხანს ხოჯას დარდი ჭამს,  
შურით აღარ სძინავს:  
— როგორ, ბეგის ნაბიჭარს  
ბეგთან ჰქონდეს ბინა?!

მაგრამ როცა გავიდა  
კიდევ ცოტა დრო და  
ნამწყესარმა დაიდგა  
წაბლის კოხტა ოდა,

როცა შრომა - წვალეებით  
გაიჩინა ფარა,  
თუმცა ბეგის წყალობა  
აქაც დაიხმარა, —

ხოჯამ თავი ჩაჰკიდა,  
და ქიშპობა ბასრი  
შეიცვალა ამ დღიდან  
სხვანაირი აზრით.

შუაკაცი დაღალა,  
თვითონ ბეგი იზეთ —  
და ყადირის ბალანა  
დაინიშნა სიძედ.

ჯერ აკვანში არიან  
ემინეც და ხუსნიც...  
ასლანს კი უხარია  
და ჯამაათს უხსნის,

რომ ალაჰმა ინება  
ეს ადრევე, ზათი,  
რომ ნანატრი იქნება  
მომავალი მათი...

## 2.

იმავე ხევთან, კლდის ნაპირად,  
ხევის ღია კართან  
ქურთ - მურადას დაეჭირა  
კარავი და ქალტა.

წყვილი გავლით ეს ბანაკი  
წელთა ბრუნვას თვლიდა,  
ფარას მთაში მირეკავდა,  
თუ ბარისკენ მთიდან.

მურად ფარას ველარ მისდევს —  
წლებს თავისი მიაქვს,  
თორემ იგი სჭეჭდა მის დროს  
და უსწრებდა ნიავს.

როცა ბარით მიმავალი  
ხევთან იდგა ძირში,  
ეკარგოდა გზა და კვალი  
ბევრს მურადის შიშით...

წლებს თავისი მიაქვს, თორემ  
ქურთი - მურად მაშინ  
ასე მყუდროდ, ასე მდორედ  
ვის უნახავს მთაში!

ქურთ - მურადზე ქების ლექსებს  
და სიმღერებს თხზავდენ  
და მთებიდან მოსულ მწყემსებს  
ჩამოჰქონდათ ზღვამდე!...

ვაჟკაცობას მტერი თან სდევს,  
მასაც ჰყავდა მტერი,  
მოსისხლეთა შურს და დარდებს  
გააყოლა ბევრი.

მაგრამ ბოლოს დრო უხელთეს,  
ლხენა შეუმოკლეს:  
მტრებმა სამი ვაჟი ერთ დღეს  
მამის თვალწინ მოჰკლეს.

როცა ის და მაჭახელა  
სიცოცხლეში ერთხელ  
მტერს დანებდნენ უსახელოდ,  
გაწბილდნენ და შერცხვენ, —

მურად წელში მოიხარა,  
წლებს დანებდა ხვნეშით,  
თოფი ქვაზე დაახალა,  
გადაადგო ხევში.

ოჯახს სევდა გადაედო  
და ხალისი არ ჩანს.  
მაგრამ გულის საიმედოდ  
ერთი ქალი დარჩა.

ის ახარებს მოხუც მამას,  
ის უნათებს გზას და  
მისით ზიდავს ქვეყნის ჭაპანს,  
სცოცხლობს მხოლოდ მასთან...

— გულიზარი, ჩემი ბავშვი!  
უალერსებს ასე,  
და ცრემლები სცვივა მაშინ  
სიყვარულით სავსე...

\* \* \*

მთებში აბა რალა ქნან,  
რით ირჩინონ თავი!  
ჰურს არა აქვს ბარაქა,  
არც სხვა ნათესს ხვაღი!

ისევ თხაა და ცხვარი,  
მარჩენალი მათი,  
თუმცა ბევრი სახლ - კარი  
ათობითაც არ თვლის.

დილაობით, როცა მზეს  
არსიანში სძინავს,  
და სხივების მოსვლამდე  
ნამს დააყრის მძივად,

ცხვარი ფარად და წყებად  
გაიშლება მაშინ,  
და სიჩუმე გაწყდება  
ნამძინარევე მთაში.

— გადადექით, გაუშვით!  
გზა მიეცით ჩქარა!  
და ერთ აურ - ზაურში  
მიდის ბეგის ფარა.

ცხვარი, ძაღლი, მწყემსები,  
ბლავილი და ყეფა...  
და უჩუმრად ივსება  
მთის კალთა და კეფა.

ამორჩეულ საძოვრებს  
ბეგის ფარა იჭერს,  
შემდეგ ნება ეძლევათ  
იმავე სოფლის ბიჭებს.

ხოლო სადაც შიმშილობს  
თხა და ცხვარი მუდამ,  
ქურთებსა და ხემშილებს  
დაუტოვონ უნდა...

გულიზარაც თავის ცხვარს  
წამოშლიდა დილით,  
როცა ქედებს ნასიცხარს  
ნისლი აწვა რბილი,

შორს რომ იყო ერთობ მზე,  
ნაძვები რომ სთვლემდენ, —  
და ერთ ხრიოკ ფერდობზე  
აძოვებდა მთელ დღეს!...

3.

თითქოს რაღაც ძალამ გახსნა  
უფერული ჯაჭვი დღეთა —  
გულიზარმა ხუსნი ნახა  
ტყის ნაპირას იქვე ხევთან.

არ დავარდეს დოქი სავსე,  
ვაუს რომ ხედავს ქურთის ქალი...  
გაიყინა თითქოს გზაზე —  
ხუსნის ქალზე დარჩა თვალი.

— რა კარგია გულიზარი...  
უნდა ეთქვა კიდევ რაღაც,  
მაგრამ სახე შესაზარი  
გადმოადგა კლდეზე მალლა...

— მე არა და შენ ხარ კარგი!...  
უპასუხოს უნდა ქალმა,  
მაგრამ ხუსნი დაიკარგა,  
აჩქარებით მიდის გაღმა...

იგი თითქოს ისე გარბის,  
რომ არ დარჩეს ხევში კვალი,  
უკან მისდევს ქალის დარდი  
და მზვერავი ხოჯის თვალი.



მიდის ხუსნი და თან მისდევს  
გარინდული ქალის სედვა!  
აბა ქალი როგორ მიხვდეს  
ხუსნის გულში თუ რა ედვა!...

გადის წელი, ორი, სამი...  
შემოდგომა... გაზაფხული.  
მოგონების მწველი წამი  
გულში არის ჩამარხული.

დილა არის თუ საღამო,  
ხუსნი — ახლა უკვე მწყემსი  
მოსთქვამს, სტირის და საღამურს  
ამეტყველებს მძიმე კენესით:

— გოგოვ, ზოვლი მინდიხარ,  
რეიზა დამწვი ასე,  
რომ მოდიხარ - მიდიხარ  
უჩუმარაი გზაზე.

ქურთის ქალო გულიზარ,  
შენზე ვფიქრობ მუდამ,  
ვკვდები შენი გულიზა,  
მოგიტაცო უნდა.

რაი რომ ხარ სხვა ტომი,  
აჭარელი არ ხარ!  
მომკლავს დერდი ამდონი —  
გვიან - გვიან ჩანხარ!

სიყვარულმა რა იცის  
ადათი და წესი,  
შემიყვარდა, დევიწვი  
უბედური მწყემსი!...

4.

ხუსნი, აბა რად იმღერ  
ამ დარდიან ჰანგებს,  
თითქოს გინდა წაიღო  
მშობლის გული განგებ!

გატყობ — ეძებ გულის ტოლს,  
შემოგველოს დედა.  
და რომ ცოლი შეირთო,  
უკვე დროა, ვხედავ!

იქაც ხოჯა ასლანის  
 ქალი ძლიერ დარდობს...  
 უკვე თექვსმეტის არის...  
 ქალმა იცის ამ დროს

უცნაური ღელვა და  
 შეუცნობი დარდი,  
 მოუსვენრობს დღედაღამ,  
 დაღვრემილი დადის...

— მერე მე რა? იაროს  
 რამდენიც მას უნდა! —  
 ხუსნიმ დედას ესროლა  
 გამოხედვა მრუდად.

— ჯერე კიდევ პატარებს  
 ეს გზა დაგისახეთ  
 აკვნიდანვე ატარებს  
 იგი ხუსნის სახელს!

— მე ეს ვიცი, მაგრამ რა!...  
 — უცნაურობ, შვილო!...  
 დედამ ხუსნის გადაჰკრა  
 სიტყვა დაგეშილი:



— შეძლებული, მდიდარი,  
ღვთის და ქვეყნის კაცი...  
— კარგად ვიცი ვინც არის —  
აგერ გვიდგას თვალწინ!...

მაგრამ ჩემთან რა გინდათ,  
ქვა იხალოს თუნდა!...  
— სიტყვა მტკიცედ და წმინდად  
შევინახოთ უნდა!

— იგი მე არც მინახავს  
და არც სიტყვა მითქვამს!  
— მაგრამ ბეგთან და ხალხთან  
გასაგონად ითქვა,

რომ იზრდებით მრავალ წელს  
ბედის მონაწილედ,  
ხოლო დრო რომ მოაწევს,  
მაშინ იქორწილებთ!...

ახლა უკვე დროა და  
დავლებით ვამბობ:  
გუშინ ხოჯა მომვარდა —  
აქ ხმა დაუდაბლა —

მოცლილია ასლანო —  
თითქოს გეთქვას მთაში,  
გაათხოვოს სხვასთანო,  
სხვა ნახოსო ვაჟი...

— მართალია!

— რა მესმის!

— მომისმინე ბარემ...

ხოჯისა და სხვა მწყემსმა  
გვერდით ჩამიარეს.

და ხოჯას რომ გაეგო —  
არ მსურს მისი ქალი,  
ეს სიტყვები გადვუგდე,  
მოვარიდე თვალი...

— შვილო, ცეცხლთან თამაშობ!

— ბარემ დამწვას მიჯობს!

— არა გრძნობის თარეში,  
ფიქრი გმართებს დინჯი...

— მე არ მიყვარს ემინე,  
თუნდა შემაჩვენეთ...

მე ის ქალი არ მინდა,  
სხვაი მიყვარს, ნენევ!...

სხვაი მიყვარს და კიდევ  
სიტყვა მივე იმას...  
თუ გინდ ხეზე დამკიდეთ,  
ჯავრით აღარ მძინავს!

მისტვის ვცოცხლობ, მას ვხედავ  
ცხადშია თუ ძილში.  
ვინ იტყვის და გაბედავს  
(თუნდ ალაჰის შიშით) —

ის დავთმო და სხვა ქალი  
მოვიყვანო სახლში!...  
აქ ბრაზი და კანკალი  
მოემატა ხმაში...

— რად გამყიდეთ ადრევე?  
რალა კაცი მქვია?  
რომ დავდივარ, დამდევენ,  
ჩემს ნაბიჯებს თვლიან!

ახლაც ხოჯა (ანდა სხვას  
მოგზავნიდა ვისმე!)  
ჩასაფრული დიდ ქვასთან  
აღბად ზის და გვისმენს...



ფეხი ვერსად გამიდგამს —  
 სახლშია თუ გარედ,  
 და ეს ყველა — მამისგან  
 მოწყობილი არის!...

დედავ, ცრემლებს რა დათვლის!  
 და შენ რომ არ გესმის?!  
 ო, წყეული ადათი!  
 ო, წყეული წესი!...

გავგიჟდები... დარდები  
 ჭკუისაგან შემშლის,  
 ან ყაჩაღად გავდგები,  
 გავიჭრები ტყეში!...

— შვილო!  
 დედამ მოჰკიდა  
 შვილს მთრთოლარე ხელი  
 და მოსწმინდა ლოყიდან  
 დანადენი ცრემლი...

— ვიცი... ვხედავ... გავიგე —  
 გიყვარს... თანაც როგორ!  
 მაგრამ დასთმე აუგი —  
 დასთმე ქურთის გოგო!...

გვაკმარე რაც ვიტანჯეთ,  
რაც სიმწარე შევსვით,  
ემინეზე თუნდ ასჯერ  
იყოს უკეთესი!

ეს სირცხვილი გვაშორე  
მთელ გვარსა და ოჯახს,  
ავვაშორე ამ ჭორებს,  
იზეთ - ბეგს და ხოჯას!...

თორემ მამა მეტისმეტ  
დარდებს ველარ უძლებს!  
არ მიმართოს წყეულ რედს<sup>1)</sup>  
გაანჩხლებულ გულზე!...

— რედი?! რა სთქვი! და ბიჭი  
ველარაფერს ხედავს...  
ის უაზრო ნაბიჯით  
გაეცალა დედას...

<sup>1)</sup> რედი — გარიცხვა.



## 5.

კახაბერში მარწყვის ყვავილს  
გაზაფხული ადრე მოჰყავს.  
გულიზარიც მაშინ ჰყვავის,  
ბროწეული აზის ლოყას.

ფარას უფრო უალერსებს —  
გამოფენილ ცხვარს და ვერძებს,  
სატრფიალოდ მღერის ლექსებს  
და მისამართს მთებში ეძებს.

ეძებს დიდ მთას — მაღლა ცამდე,  
ეძებს ჩანჩქერს მთების ახლო.  
ჩუმად ფიქრობს რაღაცაზე  
და ოცნებას არსად ამხელს.

მაგრამ ერთი დადგეს გზაზე!  
თუ გინდ ასჯერ დაულამდეს,  
არ შედგება, ივლის ასე  
კახაბრიდან ჩირულამდე!

ახლაც ხედავს ხუნნის მთაში,  
სიყვარულით გიჟს და შეშლილს.  
ახლაც იქ დგას, სადაც მაშინ,  
და გულიზარს უცდის ხევში.

თითქოს თვალწინ დადგა მწყემსი  
და ჩანჩქერით სავსე ხევი,  
სადაც კვნესა ქვასაც ესმის,  
კვნესა ვაჟის დანანთხევი...

ეს — მას ჰხურავს ნისლი ქერა,  
დაფლეთილი ღრუბლის ქულა,  
ეს — ის გზავნის წყალს ლანქერად,  
გაზაფხულის მოციქულად!

აქარისწყალს ის ამღერებს  
და იგი რწყავს ბარში ბალებს,  
იგი აბამს ყვავილს შკერებს  
და ამწვანებს იალალებს!...

მან გაფურჩქნა ია ნაზი,  
ლამით მთვარე მისით ნათობს,  
ის ერთია ქვეყანაზე,  
ის ერთია ქვეყნად მარტო!

გაზაფხულიც იმან შექმნა,  
იმან შექმნა გარიჟრაჟი  
და იძახის — „მოდო ჩემთან,  
რალა გინდა ახლა ბარში!...“

ლანქერები გაქრენ მთებში,  
არც მგელივით ღმუის ქარი,  
ხევებს ავსებს სითბო პეშვით  
ცხრათვალა მზის დანალვარი.

ველზე სიო პეპლებს დასდევს,  
ჰყვავის ბალი და ატამი.  
დაეკიდა ცვარი ვარდებს,  
როგორც ბროლის ყელსაბამი.

ბუღბუღს ხიბლავს ბალის ეშხი  
და აპრილის ცელქი დილა.  
ყვავილებში, ბალახებში  
მზის სიცილი ჩაწოლილა.

დაბინავდა ჭერის დაბლა  
მერცხალი და მღერის თანაც.  
უხარია მერცხალს ალბად —  
გაზაფხული მოიტანა!...

გულიზარსაც უხარია  
აპრილის და სითბოს მოსვლა,  
ნაკადულიც მქუხარეა,  
ტყე და ველი შეიმოსა,

ირგვლივ მზე და ყვავილია,  
მწვანე მთა და ლურჯი ცაა...  
ეს დღეებიც გაივლიან...  
მაისი და — მთაში წავა!

დაკოდილი გული მორჩა  
და სიხარულს ველარ უძლებს.  
ოცნებაში ნათლად მოსჩანს —  
ისე, როგორც ხელის გულზე —

დახვეული ხევში შარა,  
ძაფივით რომ წყდება მთაზე,  
სადაც ზაფხულ მიდის ფარა —  
ქურთის ფხა და სილამაზე!...

6.

მთვარე ათაბაგივით  
ჩამომჯდარა კლდეზე.  
მთას ჩანჩქერი ხმალივით  
დაჰკიდია წელზე.

ქვევით წრომის ძახილი  
 და ბუს მოთქმა ისმის,  
 სადაც მუხა დახრილი  
 ტოტებს არხევს კლდის წინ.

მგელი ზვერავს მიდამოს —  
 ინადიროს რამე.  
 მამლებმა კი მეორედ  
 გადიტირეს ღამე...

სძინავს სოფელს დაქანცულს,  
 სძინავს ქოხს და კარავს,  
 სძინავთ ნამგზავრს, ჯანგაცლილ  
 მწყემსებსა და ფარას...

მხოლოდ ქურთის კარავში  
 მურად ცეცხლის პირზე  
 ხშირად ხელებს გადაშლის  
 და თვალს ხუჭავს ისევ.

— ალბად ქალტას დახედავს  
 და შემოვა მალე...  
 მაგრამ ჩუმი რამ სევდა  
 ისევ უღებს თვალებს.

— ასე გვიან, აქამდე  
როდის იყო გარედ!  
აიშალა, გაქანდა  
ფიქრი, ფიქრზე მწარე.

უკვე მთები დანისლა,  
შეჭამს ტყეში რამე...  
მაგრამ ასე ღამისას...  
ქალს ვინ ეძებს ღამე!

— ვაი თუ რომ... მაგრამ რა!  
თავი მოსწონს მამას.  
გულიზარს ვინ დაჩაგრავს!  
არ იკვებნის ამას.

— იყოს, მისით შემოვა  
ადრეა თუ გვიან!  
მაგრამ რალაც მტანჯავი  
გულში ჩაწვა ტყვია...

\*  
\* \*

მთაში ქურთის ამოსვლა  
ხოჯამ იგრძნო მყისვე.  
ხევში კლდეზე აკოცდა  
და იღუმალ ისმენს —

სად ნიშნავენ შეხვედრას  
 გულიზარ და ხუსნი...  
 და რომ მთები შესუდრა  
 ბურუსმა და ნისლმა,

ასლანმა სთქვა: „დღეს უნდა  
 ყადირისას მისვლა!“

## 7.

... ყადირ, თავი რად გვინდა,  
 წაწყმენდილი თავი!  
 ახირეთი დაგვიდგა,  
 ჯეჰენნები შავი!

ეს ქვეყანა დამძიმდა  
 ცოდვებით და შხამით,  
 ვერ ვისვენებ, არ მძინავს  
 არც ღლით და არც ღამით...

დანა დამკარ, ჩემო ძმავ,  
 დანა დამკარ აქვე,  
 სოფლად გველი შემოძვრა  
 და საჯაყი საქმე!

გამოუზრდელ ქურთის ქალს  
გადაჰყრია ბიჭი...  
არც სახლი და კარი აქვს,  
არც ოჯახის ნიჭი!...

ქურთს ასიოდ ცხვარი ჰყავს  
და ეს ჯოჯო ქალი.  
უნდა შემოგვატყუოს,  
ბლომად ელის ყალიძს!

იმ შაითან ფუხარას  
შერყვნა უნდა ჩვენი,  
მაგრამ ღმერთი გვიფარავს!  
ალაჰ! დაგვიხსენი!...

და ამ სიტყვებს გესლიანს  
კენესაც დაატანა,  
თითქოს გულთან მისვლია  
სასიკვდილო დანა...

მაგრამ როცა შეატყო  
მერყეობა რაღაც,  
ხოჯამ ცეცხლი უმატა  
და ხმას აუმაღლა!



— ქურთ - მურადამ აჭარლებს  
 დაადინა სისხლი,  
 ახლა უფრო აჭარბებს  
 თავხედობა მისი...

მურადს სისხლი მშრალი აქვს,  
 რომ გაბანოს სისხლი...  
 მაგრამ თქვენ გმობთ შარიათს  
 იმ ოჯახში მისვლით!

იზეთ - ბეგი, სოფელი —  
 ღელავს, ბორგავს ყველა,  
 და თქვენს ოჯახს ჩაქოლვენ,  
 ვიცი, შეჭველად!...

ან რა პასუხს მისცემთ ხალხს!  
 სადღა არის სიტყვა?  
 პირობას რად მიტეხავთ,  
 მიღეთში რომ ითქვა!...

ჩემ ქალს ცრემლი და სევდა  
 სტანჯავს და აკვნესებს,  
 ხოლო ხუსნი ჩანჩქერთან  
 სხვა ქალს უაღერსებს!



მოაშორეთ შაითანს,  
ლამით ტყე - ტყე რომ სდევს!  
ან ემინე შეირთოს,  
ანდა ხუსნი მოკვდეს!  
თორემ...

ყადირს თვალები  
ჩაესისხლა უცებ,  
თუმცა ჩუმი წვალებით  
მამის გული უცემს.

— წაწყმენდილი ოჯახი,  
შერცხვენილი გვარი...  
ყველა საქმე საჯაყი  
შეითანის არის...

ქურთს, მოსისხლეს, ფუხარას —  
ვერ შეუშვებ სახლში!  
როცა იცნო მქუხარე  
ბოროტება ხმაში,

„შენ იციო“ ხოჯამ სთქვა  
ვითომ მგლოვიარედ,  
თოფს შეხედა კედელთან  
და გავიდა გარედ...

## 8.

მთვარე უფრო დახრილა  
 და პირდაპირ უმზერს,  
 ნაწნავი რომ დაყრილა  
 ქურთის ქალის გულზე.

ტკბილი გრძნობით გამთბარი  
 გულიზარის ახლოს,  
 ხუსნი უკვე მზად არის  
 გულში ჩაესახლოს.

ეს ქვეყანა მათია,  
 და ამას ვინ შესცვლის,  
 სანამ ცეცხლი ანთია,  
 სიყვარულის ცეცხლი...

და გულები — ურჩები  
 ახლა უფრო ფეთქენ,  
 მკლავები და ტუჩები  
 ერთმანეთს რომ შეხვდენ..

— ხუსნი, ეი! სადა ხარ?  
 გაბმით ისმის ხევში.  
 და ყადირი ხანდახან  
 თოფსაც სინჯავს ხელში.

ბილიკს მთვარე ანათებს  
და ველური ფიქრი...  
ყადირ კეცავს აღმართებს,  
ქარზე ჩქარა მიჰქრის.

თითქოს ფრთები დაესხა,  
ხრამებს გადასცილდა,  
ისარივით დაესო  
შეყვარებულ წყვილთან...

და სამივე გაშეშდა,  
გაიყინა სისხლი!  
ზარი იდგა ჩანჩქერთან,  
ზარი იდგა კლდის წინ!...

დგანან. სდუმან. ზვერავენ.  
გაქვავდნენო თითქოს.  
ვერ დაძრულა ვერავინ  
და სიტყვა ვერ უთქვამს.

ხუსნის ჯერ არ უნახავს  
მამა ასე მწყრალი.  
უცნაურ ფიქრს, როგორც ხავსს,  
შეაცივდა ქალი!

\* \*  
\*

სდუმან ირგვლივ ფიჭვები,  
 გალურსულა ნისლი...  
 უცნაური იჭვებით  
 შეკრთა ქვევით ისლი.

ელვასავით გაეკრა  
 ხევს ნაბიჯი ჩუმი  
 და ისევე შეიკრა  
 ნისლი — აბრეშუმი.

ბუმ კივილი შესწყვიტა  
 სევდიანი, ყრუ და  
 კენწეროზე შეფრინდა  
 ხის დამპალი ღრუდან...

ჩასაფრული კლდის იქით,  
 ხავსით შეკრულ ლოდთან  
 ხოჯა გულის ძიგძიგით  
 შედეგს მოელოდა!

\* \*  
\*

მთვარე უკვე ფითრდება  
 და ვარსკვლავთა ურდო.  
 ნისლი დაწვა ფიქრებად —  
 ფიქრებივით უნდო...

ყადირს გულზე მოეშვა,  
თითქოს კიდევ მორჩა —  
იქ, წარსულის მორევში  
წერტილი რომ მოსჩანს!...

... მაშინც იდგა ლაღი და  
წელმაგარი მუხა,  
და ჩანჩქერი მალლიდან  
იღვრებოდა უხვად.

ღამეს დუმილს პარავდა  
ბუს და წრომის კენესა,  
ცხვარი იდგა კარავთან,  
ხევის პირად ტყესთან...

და ამ კლდის კენწეროდან —  
სიყვარულით სავსე,  
თვით ყადირი მღეროდა  
აღტაცებით ასე:

„სიყვარულმა რა იცის  
ადათი და წესი...  
შემიყვარდა, დავიწვი  
უბედური მწყემსი!...“

— ჰოდა, ახლა სხვა იწვის!  
გაურბინა გულში,  
თითქოს კიდევ რა იცის,  
ადათს ირჩევს თუ შვილს...

„იწვის“ ... დასთმოს...რომ უყვარს  
და ძალა არ შესწევს?!...  
ბეგი... ხოჯას ბეგი ჰყავს  
დამხმარედ და შემწედ...

რა ოჯახი ივსება!  
ბეგის არის მიწა...  
ეს ცხოვრება ისედაც  
მძიმე ტვირთად იქცა...

— და ასე სჯობს ისევე!...  
სთქვა დაბოლოს ხვნეშით,  
თოფი გადაისროლა  
ჩანჩქერიან ხევში!

— გაიხარეთ!...

უმატა  
აქ ყადირმა ხმას. და  
უმაღ ხუნნი მივარდა  
აღტაცებით მასთან...

—მამავ!

— შვილო!...

გაჩერდა

სამი მძიმე სუნთქვა...

კლდეც აცრემლდა ჩანჩქერთან,

კლდე ცივი და გულქვა...





## შ ი ნ ა ა რ ს ი

გვ.

სტალინის მზე. . . . .	5
პატაკი ოქტომბერს . . . . .	8
მაისის დილა . . . . .	11
ნასაკირალი . . . . .	12
ესპანელ გმირებს . . . . .	15
ღამე პლანტაციებში . . . . .	16
სერგოს . . . . .	17
შმიდტის ბანაკში . . . . .	20
ა. ს. პუშკინს . . . . .	24
აჭარელ ქალს . . . . .	26
ერთი ღამე ხულოში . . . . .	27
ილიას სამშობლო . . . . .	29
კოლხიდმშენი . . . . .	31
ხორუმი . . . . .	34
ბებერი თხემლა . . . . .	36
გულიზარ (პოემა) . . . . .	39

რედაქტორი დ. ღუმბაძე  
კორექტორი პ. ლორია  
გამომშვები დ. ჯავახია  
ყდა დ. ჯვარიშვილის  
ტირაჟი 3000

მთავლიტი № 64

დაკვეთა № 2567

ქალაქის ზომა 64×92

გადაეცა წარმოებას—8—VI—37

ხელმოწერილია დასაბეჭდად—8—VIII—37

---

აჭარსახელგამის სტამბა-ლითოგრაფია

კვანთ 2 მან.



Н. МАЛАЗОНИЯ

**„ПАТАКИ ОКТОМБЕРС“**  
**СТИХИ**

Госиздат Аджарии  
Батуми  
1938